

## როსტომ ფარეულიძე

### **ჩეჩნურ ანთროპონიმთა ქართული ტრანსლიტერაციის საკითხები**

#### **I. ჩეჩნურ ანთროპონიმთა ქართულად გადმოცემის ისტორიისათვის**

ჩეჩნურ ანთროპონიმებში განირჩევა როგორც საკუთრივ ჩეჩნური, ისე ნასესხები სახელები. საკუთრივ ჩეჩნური წარმოშობის ანთროპონიმთა რაოდენობა შედარებით მცირერიცხოვანია და, შეიძლება ითქვას, ლექსიკის ეს ნაწილი თანდათან გადის ხმარებიდან. სამაგიეროდ, საკუთარ სახელთა უდიდესი ნაწილი ნასესხებია სხვადასხვა ენიდან, როგორებიცაა: ძველებრაული, არაბული, თურქული, სპარსული, ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისიდან – რუსული, რუსულის შემვეობით კი – სხვა (ევროპული) ენები.

მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩეჩნეთში განვითარებული ცნობილი მოვლენების (რუსეთ-ჩეჩნეთის ომი) გამო ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდება წერილები ჩეჩნეთსა და ჩეჩნებზე. მაგრამ ჯერ არ შესწავლილა, თუ რა სახით არის ან უნდა იყოს გადმოტანილი ქართულში ჩეჩნური ონომასტიკა, კერძოდ, ჩეჩნური ანთროპონიმები. ამ მხრივ კვლევა აქტუალურია.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩეჩნურენოვანი მხატვრული ლიტერატურა ქართულად თარგმნილი თითქმის არ არის. ჩეჩნური ანთროპონიმების ქართულად გადმოცემის შესწავლის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არაფერს იძლევა ჩეჩნური და ინგუშური პოეზიის ერთადერთი პატარა კრებული „ვაინახების სიმღერა“, რომელიც 1977 წელს დაიბეჭდა თბილისში (მთარგმნელი – ცნობილი ქართველი პოეტი თ. ჯანგულაშვილი). ამ კრებულში ათიოდე ჩეჩენი პოეტისა და რამდენიმე სახალხო მთქმელის გვარ-სახელი დასტურდება (ინგუშ პოეტთა და სახალხო მთქმელთა რაოდენობაც დაახლოებით ამდენივეა). გარდა ამისა, 1996 წელს თბილისში ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა „ჩეჩნური

ფოლკლორი“ (I გამოცემა). მასში პირთა სახელები, შეიძლება ითქვას, არც დასტურდება.

ჩეჩნურენოვან ლიტერატურაში პირთა სახელები წარმოთქმის მიხედვით იწერება (ზოგი დიფთონგის გარდა), რასაც ვერ ვიტყვით ჩეჩნური გვარის სახელებზე, რადგანაც ისინი იწერება რუსული წარმოთქმის მიხედვით. შდრ.: *Ахьмад Ахмадов (აჰ/ხმად ახმადოვი)*. ამდენად, ჩეჩნურ გვარის სახელებში რუსულისაგან განსხვავებული სპეციფიკური ჩეჩნური ბგერები არ დასტურდება (იხ. აგრეთვე ქვემოთ). აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ჩეჩნური გვარების ქართულად დაწერისას გასათვალისწინებელია იმავე სახის პრობლემები, როგორც რუსული გვარების ქართულად გადმოცემისას ჩნდება.

სტატიის მიზანია იმ თავისებურებათა ჩვენება, რომლებიც ჩეჩნურ ანთროპონიმთა გადმოქართულებისას იჩენს თავს. ამჯერად არ განვიხილავთ ჩეჩნურის პირის სახელთა არც წარმომავლობას, არც სტრუქტურას ან ფონეტიკურ ვარიანტებს. საანალიზო მასალა ამოღებულია ნ. ბიბულათოვის ნაშრომიდან „ჩეჩნური სახელები“ (Чеченские имена, Грозный, 1991, 140 გვ.). აღნიშნულ ნაშრომში, სამწუხაროდ, მითითებული არ არის ამა თუ იმ სახელის ხმარების სიხშირე. როგორც ზემოთ ითქვა, ბევრი ამ სახელთაგანი არქაიზმის შთაბეჭდილებას ტოვებს.

## II. ჩეჩნურ ანთროპონიმთა სტრუქტურული ჯგუფები

ფუძის დაბოლოების მიხედვით ჩეჩნური ანთროპონიმები იყოფა ორ ჯგუფად: ხმოვან- და თანხმოვანფუძიანებად (ზედმიწევნით: ხმოვანსა და თანხმოვანზე ფუძეგათავებულ ჯგუფებად). აქვე აღსანიშნავია, რომ ყველა თანხმოვანფუძიან სახელს ქართულში დაემატება სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ო**, ხოლო **-ჰ**ზე დაბოლოებული ყველა ჩეჩნური ანთროპონიმი ჩაითვლება ხმოვანფუძიანად, ისევე როგორც სხვა ხმოვნებზე (**-ა**, **-ო**, **-ყ**) დაბოლოებული სახელები.

ჩეჩნური ხმოვანთა სისტემა დიდად განსხვავდება ქართული ენის ხმოვანთა სისტემისაგან (ამ მხრივ ჩეჩნური ახლოს დგას სვანური ენის ბალსზემოურ კილოსთან). ამდენად, მიზანშე-

წონილად მიგვაჩნია, რომ ცალკე იქნეს განხილული ანთროპონიმებში ჩეჩნურ ხმოვანთა ქართულად გადმოცემის საკითხი.

### III. ჩეჩნურ ანთროპონიმთა ხმოვნების გადმოცემა ქართულში

ა) ჩეჩნურ ანთროპონიმთა *აუსლაუტში* გვხვდება ოთხი ხმოვანი: ა, ი, უ, ო.

-ა -ა: *Ама ама, Басакъа Басакъа, Дуда დუდა, Дунга дუნга, Муса муса, Сабилла сабиლა...*

-ი (-ო): *Бахрани ბახრანი, Дени დენი, Инади ინადი, Леи леი, Мовлади მოვლადი, Нурди ნურდი...*

-უ (-უ): *Алпату აღფათუ, Бежу бечу, Дуру дурუ, Муслу მუსლუ, Новру ნოვრუ...*

-ო (-ო): *Або або, Саламо саламо, Сурхо სურხო, Тапало таფალო, Турко თურქო, Пауо ფაუო...*

ო ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ჩეჩნურში იშვიათია. ზოგ შემთხვევაში ბოლოკიდური -ო დიფთონგს წარმოადგენს და გვევლინება -უო (< -უა) სახით. შდრ. **საზუა** (აღ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“). მიუხედავად ამისა, მისი გადმოტანა ქართულში უფრო მართებული უნდა იყოს -ო-ს (და არა -უო // -უა) სახით.

როგორც ზემოთ ითქვა, -ო-ზე დაბოლოებული ყველა ჩეჩნური სახელი ქართულშიც ხმოვანფუძიანი იქნება (**გიორგი**, **აკაკი** ტიპისა), ე. ი. *Мовлади მოვლადი*, *Курхи ქურხი* ტიპის სახელთა ქართულად გადმოცემისას ბოლოკიდური -ი ხმოვანი – როგორც ფუძისეული (და არა ბრუნვისსწინისეული) – უცვლელად უნდა გადმოვიდეს.

ბ) სახელები, რომელთაც *ანლაუტში* აქვთ დიფთონგები ჩეჩნურში, ქართულად უნდა დაიწეროს შემდეგნაირად:

ე-: ჩეჩნური

ქართული

*Евди*

*ევდი*

*Езидат*

*ეზიდათ-ი*

*Ела*

*ელა*

*Елсан*  
*Елхан*

*ელსან*-ი  
*ელხან*-ი და მისთ.

ცხადია, რომ *ჰ*-ზე დაწყებული ჩეჩნური სახელებიც ქართულში გადმოვა *ე*-თი. *Эти елтои, Элмурза елмурза, Эмир емир*-ი და მისთ.

*გ*) იგივე ხმოვანი *ე*-ს სახით გადმოიცემა თანხმოვნის მომდევნო პოზიციამდე, მაგალითად: *Беххан беххан*-ი, *Деги деги*, *Зебират зебират*-ი და სხვ.

ზოგ ჩეჩნურ სახელში თანხმოვნის მომდევნოდ გვაქვს არა დიფთონგი, არამედ ხმოვანთკომპლექსი. ამ ტიპის სახელები ქართულად უნდა დაიწეროს ასე: *Зарема ზარიემა, Зезаг ზიეზაგ*-ი, *Лема ლიემა, Седа სიედა*... მაშასადამე, გასათვალისწინებელია ჩეჩნური ზეპირი მეტყველება (წარმოთქმა), რადგანაც წერით მეტყველებაში თანხმოვნის შემდეგ *е* და *ие* ერთნაირად იწერება *ე*-თი.

გარდა ამისა, *ე* გრაფემით უნდა გადმოიცეს ქართულში ჩეჩნური *аь* ხმოვანიც (უმლაუტიანი *а*) ისეთ სახელებში, როგორიცაა:

*Јавьди ендო, Аьрзо ерзо, аьсаби есаби, Маьчиг მეьиг*-ი, *Маьхьди მეьдо, Саьјид сеид*-ი და მისთ.

მაგრამ: *аьрби არბი*, შდრ. ქართული *არაბ*-ი.

სახელები, რომლებიც *аь* ხმოვანს შეიცავენ, ჩეჩნურში მცირერიცხოვანია. უფრო იშვიათია *оь* ხმოვნის (უმლაუტიანი *о*-ს) შემცველი სახელები (სულ რამდენიმე). ეს ხმოვანი ქართულში, სავარაუდოდ, *ო*-თი უნდა გადმოვიდეს. მაგალითად:

*Йоьта отота, Коьржик қорқоғ*-ი, *Лоьма лорма, Оьзда /Оьзди озда, Соьлжа солжа, Цьоьма წома*...

ასევე მარტივი *უ* ნიშნით გადმოვა ქართულში უმლაუტიანი *у* ხმოვნიანი სახელები, როგორიცაა:

*Куьпра қуира, Муьси муьси, Туьта тута*...

ჩეჩნურ ანთროპონიმებში *я* ხმოვანი, პოზიციის მიუხედავად, ქართულად უნდა დაიწეროს *ია*-ს სახით. მაგალითად:

*Ахьяд аьиад*-ი, *Ахьят аьиат*-ი, *Язаг იაზაგ*-ი, *Якьуб იაყუბ*-ი, *Япу იაпу, Яраги იარაგი, Яха იаба*... და მისთ.

იხ. აგრეთვე: *Баязид Баიაზიდ-ი, Баяли Баიალი, Баянт Баი-ანთ-ი, Заянт Заиант-ი...*

გამონაკლისს წარმოადგენს **ო** ხმოვნის მომდევნო პოზიცია, როცა **я**-თი დაიწერება. მაგალითად:

*Алият алият-ი, Барият барият-ი, Бияну биану, Закият Закият-ი, Кияма кияма, Лилия лилия* და მისთ.

**ю** დიფთონგი სახელის ანლაუტში უნდა დაიწეროს **იუ**-ს სახით, მაგალითად: *Аюб аюб-ი, Зюди зюдио, Юнади оუნადи, Юсуп оунсу(პ)и, Юшай оуша...*

დიფთონგები **აი, ეი, იი, იე** ქართულში გადმოვა შესაბამისად, **აი, ეი, იი, იე**-ს სახით. მაგალითად:

*Айзан айзән-ი, Зулай зулаи, Шайхи шаиби...*

*Дейси деиси, Рейхьянт реиჰანთ-ი, Сейлан сеиლან-ი...*

*Бойсар боисარ-ი, Гойга гоига, Тамой тамои...*

*Йогай огаи, Йовсар овсар-ი, Йокка оққ...*

აგრეთვე: *Зуйман зუიმან-ი, Эйсан еисან-ი...*

სახელები, რომელთაც ჩეჩნურში ანლაუტში აქვთ **იი** დიფთონგი, ქართულში უნდა გადმოიცეს **ი**-ს სახით, მაგალითად:

*Йисайла ისაილა, Йисизат ისიზათ-ი, Йисита ისითა...*

როგორც ჩანს, გამონაკლისი უნდა იყოს *Ййса ისა*: ერთი **ი**-ს დაწერისას იგი დაემთხვევა *Ййса* სახელს – **ისა**-ს.

აღსანიშნავია, რომ **Йи**-ზე დაწყებული ყველა ჩეჩნური ანთროპონიმი ქალის სახელია.

ჩეჩნურ ანთროპონიმთა ნუსხაში გვხვდება ხმოვნის შემცველი რამდენიმე სახელიც. ცნობილია, რომ **ь** ბგერა ჩეჩნურში დასტურდება მხოლოდ რუსულიდან ნასესხებ სიტყვებში. საფიქრებელია, თვით ჩეჩნურ საკუთარ სახელებშიც იგი უნდა შეიცვალოს **ი**-თი. **ყ** ხმოვანი ქართულში უნდა გადმოიცეს **ი**-ს სახით:

*Абу-Садык абу-садиқ-ი, Адым адиъм-ი, Богатыр бога-თир-ი, Зары зари...*

რაც შეეხება *Супьян* ტიპის სახელებს, ქართულად გადმოცემისას **ь** ნიშანი მხედველობაში არ მიიღება: *სუფიან-ი* (ან: *სუპიან-ი*).

ხმოვანთა სიგრძე ჩეჩნურ მეტყველებაში არ აღინიშნება. გამონაკლისს წარმოადგენს **იი** (გრძელი **ი**). საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახით უნდა გადმოიცეს ქართულად ჩეჩნური გრძელი

ხმოვნები, ცალკეა შესასწავლი. ვფიქრობთ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (მაგ.: *Желах ეელა/ო*), ჩეჩნური გრძელი ხმოვნები ქართულში მათი გამარტივებული ვარიანტით უნდა შეიცვალოს.

მაშასადამე, ჩეჩნურ ანთროპონიმებში **ა, ე** (ანლაუტში), **ი, ი, უ** ხმოვნების ქართულად გადმოცემა სიმძნელეს არ წარმოადგენს – მათი ზუსტი ეკვივალენტები ქართულში გვაქვს. შედარებით უფრო რთულია უმლაუტიანი (**აь, оь, уь, яь, юь**) ხმოვნებისა და დიფთონგების ქართულად გადმოცემა.

#### **IV. ჩეჩნური ანთროპონიმების თანხმოდანთა გადმოცემა ქართულში**

ჩეჩნურში თანხმოდანთა სისტემა ქართულისაგან დიდად არ განსხვავდება. **ფ** და **ჟ** გვხვდება მხოლოდ რუსულიდან ნასესხებ სიტყვებში. მართალია, ზეპირ მეტყველებაში არის **ძз (ძ)** და **дж (ჯ)** აფრიკატები, მაგრამ მათ ნაცვლად იწერება შესაბამისი მარტივი მჟღერი სისინა და შიშინა თანხმოდანთები: **з (ზ)** და **ж (ჟ)**. აღნიშნული აფრიკატები ჩეჩნურ ანბანშიც არ არის შეტანილი. მიუხედავად ამისა, ზოგ ანთროპონიმში ორივე აფრიკატი წერით მეტყველებაშიც იჩენს თავს, განსაკუთრებით მყარია ამ მხრივ **дж (ჯ)**-ს პოზიცია. შდრ., მაგალითად:

*ძუზაირა* (პარალელურად დასტურდება *ზუზაირა* ფორმაც),  
*Дзака ძაკა, Дзегид ძეგიდ-ო, Дзуха ძუზა...*

*Джабраил ჯაბრაილ-ო, Джамбек ჯამბეკ-ი, Жансары ჯანსარი-ო, Джовзаны ჯოვზანი* და მისთ.

ქართველი მკითხველისათვის სპეციფიკური ჩეჩნური თანხმოდანთა **j** და **хь** (‘ და **ჰ**), ხოლო **ჩ, კჩ, ზ** (ა, უ, ) თანხმოდანთები ქართველური ენა-კილოებისათვის უცხო არ არის.

**j** და **хь** ფარინგალური სპირანტებია; პირველი მჟღერია, მეორე – ყრუ. ფარინგალურია ჩეჩნურში ყრუ ფშვინვიერი **кч (ჭ)** და აბრუპტივი **кь (ყ)**. **кь (ყ)**-ს ქართულად გადმოცემის პრობლემა არ დგას. რაც შეეხება **кч (ჭ)**-ს, საკითხი დგება იმის შესახებ, თუ როგორ გადმოვიტანოთ ქართულში საკუთარი სახელი, რომელიც ამ ბგერას შეიცავს. **кч (ჭ)** ბგერის შემცველი სახელები ჩეჩნურში ძალიან ცოტაა. ასეთია, მაგალითად: *Акхмар აქმარ-ი, А(л)бекхату აღბექათუ, Дукхаваха დუქავახა, Кхокха ქოქა, Тикха თიქა...*

ჩამოთვლილ მაგალითებში ჩეჩნური **кх** (ჭ), ჩვენი აზრით, ქ-თი უნდა გადმოიცეს. ცნობილია, რომ ძველი ქართულის ჯ-ს თანამედროვე ქართულში **ხ** ჩაენაცვლა. მიუხედავად ამისა, ჩეჩნური **кх**-ს შესატყვისად ქართულში ქ მიგვაჩნია.

ბევრ ჩეჩნურ ანთროპონიმში დასტურდება (‘) ბგერა – თავში, შუაში, თანხმოვანთკომპლექსებში. მაგალითად:

<i>абдулла</i>	<i>Амир-‘ела</i>
<i>усман</i>	<i>Забн‘ат</i>
<i>Ба дулла</i>	<i>Йо‘ ай...</i>

ამ ტიპის ყველა ჩეჩნური სახელი ქართულად უნდა დაიწეროს აღნიშნული ბგერის გარეშე:

<b>აბდულა</b>	<b>ამირ-ედელა</b> (ან: <b>ამირ-ელა</b> )
<b>უსმან-ი</b> (ან: <b>ოსმან-ი</b> )	<b>ზაბიათი</b>
<b>ბადულა</b>	<b>იაია...</b>

**хь** (ჰ) სპირანტის შესატყვისად ქართულში ჰ გვაქვს, თუმცა ზოგ შემთხვევაში შეიძლება მისი ხანით გადმოცემაც (ქართული ტრადიციის გათვალისწინებით). მაგალითად:

<i>Ахьмар</i> <b>აჰმარ-ი</b>	<i>Хьамзат</i> <b>ჰამზათ-ი</b>
<i>Бахьа</i> <b>ბაჰა</b>	<i>Хьамид</i> <b>ჰამიდ-ი</b>
<i>Хьайдар</i> <b>ჰაიდარ-ი</b>	<i>Хьасан</i> <b>ჰასან-ი</b> და მისთ.

მაგრამ: *Ахьмад* **ახმად-ი**, *Мхьма* **მახმა**, *Махьмуд* **მახმუდ-ი**, *Мухьмад* **მუხმად-ი** და ზოგი სხვაც.

მაშასადამე, ჩეჩნურ ფარინგალურ თანხმოვანთაგან ქართულში უკვალოდ იკარგება (‘) მჟღერი სპირანტი, ხოლო **хь** (ჰ)-ს შესატყვისი იქნება ჰ (რამდენიმე გამონაკლისის გარდა). რაც შეეხება **кх** (ჭ)-ს, რომელიც რამდენიმე ჩეჩნურ სახელში იჩენს თავს, ჩვენი ვარაუდით, იგი ქართულში ქ-ს სახით უნდა დაიწეროს.

ლარინგალურ თანხმოვანთაგან ჩეჩნურ ანთროპონიმებში წარმოდგენილია მჟღერი ზ (‘) და ყრუ **х** (ჰ) სპირანტები. ჩეჩნური ჰ ქართულში უცვლელად გადმოვა.

ზ (‘) ბგერა ჩეჩნურში (ანთროპონიმებში) ინლაუტსა და აულსლაუტში გვხვდება. მისი პოზიციის მიუხედავად, ქართულში იგი წარმოდგენილი არ იქნება. ასეთია, მაგალითად:

*Асмаз*                    *ასმა*    *Лайлаз* // *Лейл ლაილა* // *ლეილა*  
*Заъа*                     *ზაა*    *Масраъ* *მასრა*  
*Заъадат*                *ზაადათ*            და მისთ.

ქართულისაგან განსხვავებულია ჩეჩნურში მაგარი (ინტენსიური, ორმაგი) თანხმოვნებიც. ასეთი თანხმოვნები ჩეჩნურ ანთროპონიმებში მხოლოდ ინლაუტში დასტურდება.

ჩეჩნურ ანთროპონიმებში წარმოდგენილი ყველა მაგარი თანხმოვანი ქართულში უნდა გადმოიცეს მისი შესატყვისი მარტივი, სადა თანხმოვნით. შდრ., მაგალითად, რუსული *Анна* და ქართული *ანა*. მაგალითები ჩეჩნურიდან:

*аббаз*                    *აბაზ-ი/ა*                    *Ваззах*    *ვაზახა*  
*абдулла*                *აბდულა*                    *Гиччи*    *გიჩი*  
*Бадрудди*              *ბადრუდი*                *Докха*    *დოქა*  
*Баудди*                *ბაუდი*                      *Закки*    *ზაკი*    და მისთ.

მაშასადამე, ლარინგალურ თანხმოვანთაგან ჩეჩნური ზ (')-ს შესატყვისი ქართულში არ გვექნება, ყველა მაგარი (ორმაგი) თანხმოვანი კი დაიწერება შესაბამისი ერთი თანხმოვნით.

რომ შევაჯამოთ:

ჩეჩნური და ქართული ბგერითი სისტემების განსხვავება ძირითადად ხმოვნებშია, თანხმოვანთაგან მხოლოდ ორი ბგერა განსხვავდება ქართულ ენა-კილოთა თანხმოვნებისაგან.

ნაშრომში განხილულია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც თავს იჩენს ჩეჩნური ანთროპონიმების ქართულად გადმოცემისას.

## ლიტერატურა

**ბიბულათოვი** 1991 – Н. Бибулатов, Чеченские имена, Грозный.